ხაშურის მოამბე

№35 (408) 18 სექტემბერი, ორშაბათი, 2023 წელი

ა ს ი ა ნ ე ბ ი

მივიდნენ, ნახეს, გაიმარჯვეს - ეს, ანტიკური ხანის, ინტერპრირებული სენტენცია აბსოლუტურად მოერგება ამ ბავშვებს, არა მარტო მოერგება, ზუსტად ჯდება მათ ნამოქმედარში. იგივე ანტიკური ხანის სპასპეტი ასეთ დროს იტყოდა: - გავიმარჯვე დანაკარგის გარეშე... ზემოთ ბავშვები ვახსენე, ეს ისე, ინერციით მოყოლილი სიტყვაა, თორემ მათი ბავშვობა უკვე უკან დარჩა, ახლა სტუდენტები არიან - ყველაზე საოცარი, ყველაზე საოცნებო, ყველაზე ულამაზესი დრო მათ ცხოვრებაში. იწყება შეუცნობლის შეცნობა, იწყება ასტრალისკენ მიმავალი ბილიკის გაკვალვა, ბილიკის, რომელმაც ისინი დიდ ტაძარში უნდა მიიყვანოს, ამ ტაძარს კი სამშობლოს სამსახური ჰქვია.

ლაღები, ლამაზები, ნიჭიერები, ერუდირებულები, ინტელექტუალები... ყველა დადებითი ეპითეტი მემეტება მათთვის. ჯერ ხომ სკოლაში იყვნენ სამაგალითოები და მისაბაძები, ახლა, აგერ, მთელი საქართველოს მასშტაბით ისახელეს თავი და იმ სტუდენტებს შორის მოხვდნენ, ვინც სახელმწიფოსგან სწავლის საფასურის 100 პროცენტიანი დაფინანსება მიიღეს. დიდი შრომა იყო ამ შედეგის უკან, იყო წიგნზე გათენებული ღამეებიც, მაგრამ სხვაგვარად როგორ? აგერ, ეს შრომა დაუფასდათ კიდეც.

მოდით, გაგაცნობთ ჩვენს „ასიანებს“ და შემდეგ ისევ განვაგრძოთ:

მართა მელაძე - სსიპ ქალაქ ხაშურის #8 საჯარო სკოლა;

თიკო ჩიქოვანი, სანდრო ციყელაშვილი, ლუკა ჩაუჩიძე - სსიპ ქალაქ ხაშურის #7 საჯარო სკოლა;

დავით ხაჩიძე - სსიპ დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის საჯარო სკოლა;

ნუცა ნოზაძე, მერი გელაშვილი - სსიპ ქალაქ ხაშურის #4 საჯარო სკოლა;

შალვა ჩაჩანიძე, თინათინ მურჯიკნელი, მარიამ ლომიძე - სსიპ ქალაქ ხაშურის #3 საჯარო სკოლა;

ბარბარე გელაშვილი, თამაზ ხარხელი - სსიპ ქალაქ ხაშურის #6 საჯარო სკოლა;

კესო ნონიაშვილი, ლიკა კალმახელიძე - სსიპ ქალაქ ხაშურის #2 საჯარო სკოლა;

სოფია ქიტიაშვილი, სოფო ხაჩიძე - სსიპ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის #2 საჯარო სკოლა;

მარიამ ოსაძე, მარიამ ბარბაქაძე, ანი ბეროზაშვილი - საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა - პანსიონი;

აი, ის კოჰორტა, აი, ის ფლაგმანი 2022 -2023 წლების კურსდამთავრებულების. ახლა ამათ ათეულობით ე. წ. 70 და 50 პროცენტიანები მიუმატეთ და ვისაც ხაშურზე და მთელ მუნიციპალიტეტზე შავი აზრი აქვთ, ანახეთ ესენი. რთულია, მთელი საქართველოს მასშტაბით, სტატისტიკის მოძებნა, თუმცა, დარწმუნებული ვარ, მუნიციპალიტეტებს შორის, ამ წარმატებული ბავშვების სიმრავლით, პირველ ხუთეულში მაინც ვიქნებით.

თავს ვხრით მათ წინაშე, თავს ვხრით მათი პედაგოგების წინაშე, მადლობა თქვენ და ყოველთვის გახსოვდეთ, რომ მუდამ გვეიმედებით.

P. S. სამწუხაროდ, 19 „ასიანიდან“ ფოტოსურათისათვის მხოლოდ ცხრა მათგანის შეკრება მოვახერხეთ, რადგან ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგები საკმაოდ გვიან გამოცხადდა და ამ ეტაპზე, ზოგს სწავლა დაეწყო, ზოგი კი - მუნიციპალიტეტის ფარგლებს იყო გაცილებული. თუმცა, რედაქცია ეცდება, თითოეული მათგანი, შემდეგში, პერსონალურად გაგაცნოთ.

გოგი გოგალაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტში საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავება მიმდინარეობს

დოკუმენტის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფის წევრები მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანთან ერთად USAID ძლიერი სოფლისპროგრამისექსპერტშოთამურღულიასდაპროგრამისწარმომადგენლებს შეხვდნენ და იმსჯელეს დოკუმენტის ძირითად პრიორიტეტებზე, რაც მოიცავს ინფრასტრუქტურისა და მრეწველობის განვითარებას, გარემოს დაცვასა და სოფლის მეურნეობას, განათლებას, კულტურას, ტურიზმს და სპორტს, ჯანდაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფას და სერვისების განვითარებას.

სამუშაო შეხვედრამ საქმიან ვითარებაში ჩაიარა.

USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ხაშურის მუნიციპალიტეტის სტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, რაც პოზიტიურად აისახება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების ყოველდღიურ ყოფაზე. თანამშრომლობის ფარგლებში, პროგრამა ხაშურის მუნიციპალიტეტს სრულყოფილი მუნიციპალური განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში დაეხმარება და ამით მხარს დაუჭერს რეგიონის გაძლიერებას, ახალი შესაძლებლობების, სამუშაო ადგილების გაჩენასა და არსებულ და სამომავლო რისკებთან გამკლავებაში.

საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის მომზადების სამუშაო ჯგუფი მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის და საზოგადოების წარმომადგენლებს აერთიანებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების - მეორადი სტრუქტურული ერთეულის 2023 წლის 6 თვის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიში

მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება არის ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ერთ-ერთი განყოფილება. განყოფილების ძირითადი მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულება.

მერის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილებაში დღეისათვის დასაქმებულია 6 საჯარო მოხელე. განყოფილების მიზნებს წარმოადგენს მერის წარმომადგენელთა მხარდაჭერა მათ საქმიანობაში და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

განყოფილება ზემოთნახსენები მიზნების შესრულებისას ახორციელებდა შემდეგ საქმიანობას:

მერის წარმომადგენელთა ინფორმირება/ მათთან კოორდინირებული ურთიერთობა სხვადასხვა საკითხების მოგვარებისათვის, მათ შორის:

1. მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში მიწის სისტემური რეგისტრაციის პროცესში და შესაბამისი პასუხების მომზადება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის მუნიციპალიტეტის პოზიციის შესახებ კონკრეტული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით.
2. მოქალაქეთა მიწის (უძრავი ქონების) საკუთრებაში გადაცემის შესახებ არსებული უფლების დამდგენი დოკუმენტების მოძიება (დადგენილება, ოქმი, მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა) ადმინისტრაციული ერთეულებში.
3. მაღალმთიანი დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირების სტატუსზე მუშაობა (სტატუსის მინიჭებისათვის დოკუმენტაციის მომზადება, სტატუსის მონიტორინგი)
4. ხე მცენარის ადგილწარმოშობის ცნობებზე მუშაობა
5. მეწყერით დაზიანებულ სახლებზე ინფორმაციის მომზადება და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გადაგზავნა.
6. საშეშე მერქნის სიების დაზუსტება, შუამდგომლობები ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან.
7. სამასალე მერქნის გამოყოფისათვის შუამდგომლობების მომზადება
8. მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო მიწის მოიჯარეთა შესახებ ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოების და მოიჯარეებისათვის, წერილების მომზადება მიწის ნაკვეთების სასოფლო სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების შესახებ.
9. სოფლის მეურნეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება, სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის განხორციელებული და მიმდინარე პროექტების და ბენეფიციარების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება.
10. მოქალაქეებიდან და სხვადასხვა უწყებებიდან განყოფილებაში მიღებული წერილების შესწავლა, შუალედური და საბოლოო პასუხების მომზადება.
11. მოქალაქეთა ცხოვრების ფაქტების დადასტურება.

განყოფილების მუშაობის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებად რჩება მონაწილეობა „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში მიწის სისტემურ რეგისტრაციაში, მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში. კერძოდ: მოქალაქეთა მიწის (უძრავი ქონების) საკუთრებაში გადაცემის შესახებ არსებული დოკუმენტების მოძიება, ასევე მიწის რეგისტრაციის პროცესში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აგზავნის შესაბამის კორესპონდენციას მუნიციპალიტეტის ინფორმირებისა და საჭიროების შემთხვევაში პოზიციის დაფიქსირებისათვის, რაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს მერიის მოსამსახურეებისაგან - ასეთი სახის საქმიანობაში მუნიციპალიტეტი კანონის შესაბამისად ჩართულია 2022 წლის 1 იანვრიდან, ასეთი წერილები საჭიროების შემთხვევაში პოზიციის დაფიქსირებისათვის ეგზავნება მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში და ხაშურის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურს მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილებაზე გადასაცემად, სულ 2023 წლის პირველ 6 თვეში შემოსულია 113 ასეთი წერილი. 2022 წლის დასაწყისში მიწის სისტემური რეგისტრაციის დაწყებასთან დაკავშირებით, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მუნიციპალიტეტების მერიებს მიმართა თხოვნით მათთან დაცული უფლების დოკუმენტების აღწერასა და გადაცემასთან დაკავშირებით. განყოფილების ორგანიზებით, მოხდა აღნიშნული დოკუმენტების აღწერა და შესაბამისი აღწერის მასალები გაიგზავნა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ხოლო მოგვიანებით, რეესტრის მოთხოვნის შესაბამისად, დოკუმენტების დედნები გადაეცა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს არქივის სამსახურს.

ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელმაც ასევე განყოფილება მართავს ეს არის მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირების სტატუსის მართვა და მაღალმთიან დასახლებებთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

ამ ეტაპზე, განყოფილების სპეციალისტები ამზადებენ მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭოსათვის წარსადგენ დოკუმენტაციას მოქალაქის მიერ განცხადების წარდგენის შემდეგ სტატუსის მინიჭების მიზნით. სამოქალაქო რეესტრის მოთხოვნის საფუძველზე უწყვეტენ ან უჩერებენ სტატუსს მოქალაქეებს. ასევე მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილებაა პასუხისმგებელია მოქალაქეთა სტატუსის მონიტორინგის საკითხზე, რომლის საფუძველზეც ხდება მოქალაქისათვის სტატუსის შეწყვეტა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილებაში 2023 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში სულ შემოსული და დამუშავებულია 378 განცხადება და წერილი, აქედან მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის პოზიციისა და კომლის შემადგენლობისა და რიცხული ქონების შესახებ - 113 წერილი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან სტიქიით დაზიანებული ოჯახების შესახებ 4- წერილი, ადგილწარმოშობის ცნობის გაცემის შესახებ შემოსულია მოქალაქეთა 17 განცხადება, ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ - 167 განცხადება, საშეშე მერქნის მიმღებთა სიაში მოქალაქის შეყვანის შესახებ 17 განცხადება, მისამართების იდენტურობის დადგენის შესახებ 8 განცხადება და 52 სხვადასხვა წერილი და განცხადება. (სულ განყოფილებაში დამუშავებულმა კორესპონდენციის მთლიანმა რაოდენობამ, შუალედურის ჩათვლით, ამ პერიოდისათვის შეადგინა 1153).

ჩატარდა მაღალმთიან დასახლებებში სტატუსის მართვის საბჭოს 5 სხდომა, სტატუსის მინიჭების თაობაზე განაცხადი შემოიტანა 35 მოქალაქემ, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსი მიენიჭა 26 მოქალაქეს, მინიჭებაზე უარი ეთქვა - 9-ს, ხოლო სტატუსი შეუწყდა 46 მოქალაქეს, მათ შორის მონიტორინგის საფუძველზე 5-ს. სტატუსის შესახებ მომზადდა 33 საინფორმაციო წერილი. მერის წარმომადგენლების მიერ, წლის დასაწყისში დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, ჩატარდა 285 მონიტორინგი, მოქალაქეთა სტატუსის გადამოწმების მიზნით. 2023 წლის მაისის ბოლოსათვის, აქტიური სტატუსი ჰქონდა 1911 მოქალაქეს.

ივანე ლოლაძე,
განყოფილების ხელმძღვანელი:

- ჩვენი მკითხველი გვწერს -

მიხარია, რომ ქალაქის ცენტრალური პარკი ძველ დიდებას დაიბრუნებს

ვიდრე მთავარ სათქმელზე გადავიდოდე, რამაც ეს წერილი დამაწერინა, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ხაშური ის ქალაქია, ჰემინგუეის სიტყვების პერიფრაზირება რომ მოვახდინო, რომელსაც მუდამ დღესასწაული მოაქვს ჩემთვის. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ მხოლოდ რამდენიმე წელი ვიმუშავე ხაშურში და შემდეგ, მრავალი წელი, თბილისში, აღმასრულებელ სტრუქტურებში განვაგრძე საქმიანობა, ხაშურის სიყვარული არასოდეს გამნელებია და დღემდე ასეა. ამიტომაცაა, რომ ყოველ სიახლეს, რაც ამ ქალაქში ხდება, ინფრასტრუქტურის კუთხით, სიხარული მოაქვს ჩემთვის და ეს მაბედნიერებს.

ახლა კი მთავარი: მიმდინარე წლის 1 მარტს, დილით, უჩვეულო გუგუნმა გამაღვიძა (ცნობისათვის - ჩემ სახლს, ხაშურში, ორი მხრიდან ესაზღვრება ტაბიძის ქუჩაზე მდებარე პარკი). გამიხარდა, როცა შევიტყე, რომ პარკის სრული რეკონსტრუქცია იწყებოდა, რაც რამდენიმე ათეული წელია არ მომხდარა.

პარკმა თითქმის დაკარგა პირვანდელი ფუნქცია. ჩემს ბავშვობასა და ახალგაზრდობაში იქ სიცოცხლე ჩქეფდა: უკრავდა რკინიგზელთა სასულე ორკესტრი, გამოყოფილი იყო საცეკვაო მოედანი, მუშაობდა ღია ესტრადა, სხვადასხვა სპორტული აქტივობისათვის განკუთვნილი დახურული სივრცეები და სხვა.

90-იანი წლების შემდეგ, პარკის ინფრასტრუქტურა თანდათან მოიშალა, ხასურის მერიის მცდელობები მცირე რეაბილიტაციის ჩატარებისა, მხოლოდ ეპიზოდურ შედეგებს, ძლეოდა, საჭირო გახდა პარკის სრული აღდგენა.

ეს დღე დადგა. შეიცვალა მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციები, დაიგო საფეხმავლო და ველოსიპედის ბილიკები, რამდენიმე ადგილას მოეწყო დასასვენებელი სივრცეები ე.წ. ფანჩატურები, მომზადდა ადგილები საბავშვო ატრაქციონებისათვის, განახლდა აუზი, ხაშურის თვითმმართველობამ და პარკის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტის

ავტორმა, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად გაითვალისწინეს თანამედროვე სტანდარტები. არ გამორჩენიათ არც სკეიტბორდის მოედანი და რაც ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, ხაშურს ეღირსება სტანდარტების შესატყვისი კალათბურთის ღია მოედანი.

როდესაც ვნახე პარკის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის ფოტო მონტაჟები, პირველი კითხვა რაც გამიჩნდა, რამდენად დაემთხვეოდა ფოტოები რეალობას პროექტის დასრულების შემდეგ. თანამედროვეობაში ხშირია, როდესაც პროექტით ერთია გათვალისწინებული, შედეგი კი სხვა დგება. დღეისათვის პროექტი და რეალობა ერთმანეთს ემთხვევა, მასში დიდი წვლილი მიუძღვის ხაშურის მინიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ

ტენდერში გამარჯვებულ კონტრაქტორ ფირმას.

მინდა, ორიოდე სიტყვით მოგიყვეთ იმ გუნდზე, რომელიც სამუშაოს ასრულებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემს სახლს ესაზღვრება პარკი, ჩემი სახლის აივანი „სამეთვალყურეო ობიექტია“. მე პარკში მიმდინარე ყველა პროცესის „უშუალო ზედამხედველი“ ვარ. ფაქტობრივად, 1 მარტიდან საამშენებლო მოედანზე ვცხოვრობ, სიტუაციიდან გამომდინარე, მშენებელთა გუნდის ყველა წევრი გავიცანი, რომელთა მუყაითი შრომით შენდება ჩვენი პარკი. გუნდი დაკომპლექტებულია პროფესიონალებით, ყველა თაობის ადამიანი უსიტყვოდ, მშვიდად, მუხლჩაუხრელად შრომობს დარსა თუ ავდარში, წვიმასა თუ პაპანაქება სიცხეში.

სამუშაოს აწარმოებს შ.პ.ს. „მშენებელი“ ბატონ დავით გოგალაძის ხელმძღვანელობით. ქვეკონტრაქტორია ფირმა „დაგი“, ბატონ დავით ლაბაძის ხელმძღვანელობით.

საამშენებლო სამუშაოების მწარმოებელია ნიკო ფცქიალაძე - დინჯი, სიტყვაძუნწი, შრომისმოყვარე, კეთილსინდისიერი, კომპეტენტური, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული.

ბევრჯერ შემინიშნავს, ნახაზით ხელში, ამა თუ იმ ობიექტთან დაფიქრებული, გონების თვალით როგორ ზომავს უკეთეს ვარიანტს.

მისი კომპეტენციიდან გამომდინრე, გასაკვირი არცაა, რომ უსიტყვოდ უგებს მთელი გუნდი, თუმცა მკაცრია და მომთხოვნიც.

ბატონი ნიკოს გუნდი გამოირჩევა თავისი შეკრულობით, კომპეტეტურობით, საქმის ერთგულებით, პასუხისმგებლობის გრძნობით. ამ გუნდს წარმოადგენენ ბატონები გია ღონღაძე, ბეჟან გელაშვილი, რობიზონ ლომიძე, ლევან კევლიშვილი, რამაზ ნოზაძე, ძმები დავით და მურმან ლომიძეები, დიმა ბადრიაშვილი, ვალერი აფციაური, ზაზა თევდორაშვილი, ილია ნოზაძე, ძმები დათო და გელა თოფურიები, რამაზ თომაშვილი, ედუარდ ლაბაძე...

მადლობა მათ ყველას და ჩვენს მერიას, რომლებიც ასე ზრუნავენ ქალაქის კეთილმოწყობისათვის.

რამდენადაც პროექტის ფარგლებში სამუშაოები ჯერ კიდევ მიმდინარეობს, იმედია, მოლოდინები გამართლდება და მივიღებთ პარკის იდეალურ სახეს. მჯერა, ეს პარკი, ხაშურლებისათვის, კვლავ უსაყვარლეს ადგილად იქცევა და კვლავ დაიბრუნებს ძველ დიდებას.

თინათინ აბაიაძე

მიზანი: თემის გაძლიერება და მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტების გაცნობა

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მაკა დიდებულიძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი და არასამთავრობო ორგანიზაცია „ხაშურელ მეწარმე ქალთა კავშირის“ თავმჯდომარე ნანა შარაშიძე ხაშურის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის პირა სოფლების წაღვლისა და ჩორჩანის ქალებსა და ახალგაზრდებს შეხვდნენ.

შეხვედრა მიზნად ისახავდა თემის გაძლიერებისა და მეწარმეობის ხელშემწყობი პროექტების, კერძოდ, USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამის გრანტის შეხახებ ინფორმაციის მიწოდებას სამიზნე ჯგუფებისათვის, მათი ჩართულობისა და მოტივაციის გაზრდისთვის.

დაინტერესებულ ადამიანებს პროექტების შესახებ ესაუბრა საოჯახო მეურნეობა „დოშკანას” დამფუძნებელი ქალბატონი ნანა შარაშიძე, რომელსაც აქვს დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება, გახლავთ ორი პროექტის გამარჯვებული და ეწევა საოჯახო მეურნეობას.

ადმინისტრაციულ გამყოფ ზოლთან მცხოვრები ადამიანებისათვის მნიშვნელოვანი იყო გამოცდილების გაზიარება და დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება პროექტებზე, რომლებიც მათ მისცემს შესაძლებლობას წამოიწყონ და განავითარონ საკუთარი მეურნეობა, საერთო ჯამში კი ხელს შეუწყობს სოფლის გაძლიერებას და სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობას.

ულუმბო

ფრაგმენტები სოფლის ისტორიიდან

(გაგრძელება. დასაწყისი №18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,30,31,32,33,34)

22 ივნისს, სოფ. ლომისაში მცხოვრებ ყარამან გიორგის ძე გაფრინდაშვილს და მართა დავითის ასულს შეეძინათ ქალიშვილი სალომე. 29 ივნისს მონათლეს. მიმრქმელი შორაპნის მაზრის სოფ. თვალეთში მცხოვრები ვახტანგ მათეს ძე ბიწაძე. 25 ივნისს სოფ. ნინისში მცხოვრებ გიორგი პავლეს ძე ლომიძეს და ვარდო ტატოს ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი გედევანი. 30 ივნისს მონათლეს. მიმრქმელი შორაპნის მაზრის სოფ. შუკოთში მცხოვრები აზნაური მალაქია ლევანის ძე ლომიძე.

4 სექტემბერს, სოფ. ულუმბოს ღვთისმშობლის ეკლესიის მედავითნეს ლუკა სვიმონის ძე მალიძეს და მანიჟან იოსების ასულს შეძინათ ვაჟიშვილი იოანე. 12 სექტემბრს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. ლომისაში მცხოვრები ფირანა ლომიძის მეუღლე ელენე გიორგის ასული.

15 სექტემბერს, სოფ. ნინისში მცხოვრებ ნიკოლოზ ფარსადანის ძე სულაბერიძეს და ტასია ივანეს ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი მიხეილი. 22 სექტემბერს მონათლეს. მიმრქმელი ამავე სოფელში მცხოვრები ბერო ივანეს ძე ხარაზიშვილი.

14 ნოემბერს, სოფ. ულუმბაში მცხოვრებ მღვდელს ალექსი დიმიტრის ძე კევლიევს (კევლიშვილი) და ანასტასია საბას ასულს შეძინათ ქალიშვილი მატრონა. 22 ნოემბერს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. წაღვლში მცხოვრები თავადი იულონ დარისპანის ძე ამირეჯიბი.

* * *

,,ამა 1874 წელსა სრულიად არ არიან ჯვარდაწერილნი''

* * *

4 სექტემბერს, სოფ. ლომისაში გარდაიცვალა გიორგი გაფრინდაშვილის მეუღლე ნინო ივანეს ასული, 38 წლის, ცხელებისაგან.

18 სექტემბერს, სოფ. ულუმბაში გარდაიცვალა ასლან გელაშვილის მეუღლე მელანია ფარსადანის ასული, 22 წლის, ცხელებისაგან,

1875

10 იანვარს, სოფ. ლომისაში მცხოვრებ გიორგი ნასყიდას ძე სულაბრიძეს და სოფო სოლომონის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი დიანოსე. 18 იანვარს მონათლეს. მიმრქმელი ყასაბა (პატარა ქალაქი - თ. ლ.) სურამში მცხოვრები გლეხი სტეფანე ბერის ძე სარახათანოვი.

15 აპრილს, სოფ. ნინისში მცხოვრებ ნიკა გიორგის ძე ხარაზიშვილს და მაია სვიმონის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი მოისეი. 28 აპრილს მონათლეს. მიმრქმელი შორაპნის მაზრის სოფ. ღოდორაში მცხოვრები ბერი საყვარელის ძე ხარაზიშვილი.

19 მაისს, სოფ. ნინისში მცხოვრებ დარისპან ივანეს ძე სტეფნაძეს და მაია პავლეს ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი დავითი. 28 მაისს მონათლეს. მიმრქმელი ამავე სოფელში მცხოვრები ფირან პავლეს ძე ლომიძე. **1 ივნისს** სოფ. ნინისში მცხოვრებ უფლისა ოტიას ძე ლომიძეს და ნატალია ივანეს ასულს შეეძინათ ქალიშვილი ოლღა. 15 ივნისს მონათლეს. მიმრქმელი ამავე სოფელში მცხოვრები გიორგი პაატას ძე სტეფნაძე. **3 ივლისს** სოფ. ულუმბოში მცხოვრებ მიხეილ პეტრეს ძე გელაშვილს და ნატალია ბასილის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ზაქარია. 18 ივნისს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. ლომისაში მცხოვრები ივანე სესიას ძე ბიწაძე. **5 ოქტომბერს** სოფ. ულუმბოში მცხოვრებ ივანე გიორგის ძე კიპაროიძეს და ხათუნ გიორგის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ვასილი. 12 ოქტომბერს მონათლეს. მიმრქმელი შორაპნის მაზრის სოფ. ლიჩში მცხოვრები გრიგოლ მახარას ძე ტაბატაძე.

* * *

5 ნოემბერს, სოფ. ქინძათში მცხოვრებმა დიმიტრი კაციას ძე დარაბიძემ (20) იქორწინა სოფ. ნინისში მცხოვრებ გიორგი პავლეს ძე ლომიძის ასულ მართაზე (19). სიძის თავმდებნი ქინძათსი მცხოვრებნი ნაზარა გრიგოლის ძე ქიტიაშვილი, ასლან პეტრეს ძე გელაშვილი, გიორგი ოქრუას ძე ხარაზიშვილი. სასძლოს თავმდებნი სოფ. ნინისში მცხოვრებნი ნიკოლოზ ფარსადანის ძე სულაბერიძე, დარისპან ივანეს ძე სტეფნაძე, თევდორე გრიგოლის ძე სტეფნაძე.

9 ნოემბერს, სოფ. ვარდისუბანში მცხოვრებმა ალექსი ანდროს ძე პაპიაშვილმა (21) იქორწინა სოფ. ნინისში მცხოვრებ ფირანა პავლეს ძე ლომიძის ასულ ნატალიაზე (18). სიძის თავმდებნი სოფ. ულუმბოში მცხოვრებნი მერაბ ივანეს ძე ხარაზიშვილი, სვიმონ ვასილის ძე გელაშვილი, ივანე გიორგის ძე კიპაროიძე. სასძლოს თავმდებნი სოფ. ნინისში მცხოვრებნი იოსებ ფარსადანის ძე სულაბერიძე, ვასილ ივანეს ძე სტეფნაძე, იოსებ პეტრეს ძე ლომიძე.

* * *

3 ივლისს, სოფ. ნინისში გარდაიცვალა ფარსადან გიორგის ძე სულაბერიძე, 56 წლის, თიაქარით.

1876

7 მაისს სოფ. ულუმბის ღვთისმშობლის მიძინების ეკლსიის მღვდელს ალექსი დიმიტრის ძე კევლიევს და ანასატასია საბას ასულს შეეძინათ ქალიშვილი ლიუბოვი. 14 მაისს მონათლეს. მიმრქმელები სოფ. ალის წმ. თომა მოციქულის ეკლესიის მღვდელი დიმიტრი სპირიდონის ძე მაჭაროვი და აქვე მცხოვრები გლეხი ყულო სარქისის ძე ყულიჯანოვი.

12 მაისს, სოფ. ბროლოსანში დროებით მცხოვრებ გლეხს ლევან სვიმონის ძე მუმლაძეს და მაია გლახას ასულს შეძინათ ქალიშვილი მარიამი. 21 მაისს მონათლეს. მიმრქმელი ამავე სოფელში მცხობრები რევაზ ბუჭუას ძე მუმლაძე.

21 მაისს, სოფ. ულუმბის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის მედავითნეს ლუკა სვიმონის ძე მალიძეს და მანიჟან იოსების ასულს შეეძნათ ვაჟიშვილი ტროფიმე. 22 მაისს მონათლეს. მომრქმელი სოფ. ნინისში მცხოვრები ფირანა პავლეს ძე ლომიძე.

27 მაისს, სოფ. ნინისში მცხოვრებ გიორგი პაატას ძე ტეფნაძეს და მარიამ ფარსადანის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ევდუქსია. 24 ივნისს მონათლეს. მიმრქმელი ამავე სოფელში მცხოვრები ივანე ტეფნაძის ასული ნატალია.

25 აგვისტოს, სოფ. ჭიანაღელეში მცხოვრებ სფირიდონ იოსების ძე მუმლაძეს და ელისაბედ ლევანის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ეფემია. 12 სექტემბერს მონათლრს. მიმრქმელი სოფ. ძველ ფლევში მცხოვრები ზურაბ სვიმონის ძე გელაშვილი.

4 სექტემბერს, სოფ. ჭიანაღელეში მცხოვრებ ოქრუა იოსების ძე მუმლაძეს და მარიამ გიორგის ასულს შეძინათ ვაჟიშვილი გედეონი. 12 სექტემბერს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. ვარდისუბანში მცხოვრები ზურაბ გოგატიშვილის მეუღლე კონია პაატას ასული.

2 დეკემბერს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ ალექსი გიორგის ძე მუმლაძეს და ანუსია დავითის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი დომენტი. 10 დეკემბერს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. ახალუბანში მცხოვრები სვიმონ ფარსადანის ძე ნოზაძე.

30 ნოემბერს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ მამუკა გიორგის ძე მუმლაძეს და ელისაბედ პავლეს ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი იასონი. 12 დეკემბერს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. მურყნების ღელეში მცხოვრები იორდანე სვიმონის ძე კაპანაძე.

17 თებერვალს, პეტრე ივანეს ძე დანელიას და სალომე პავლეს ასულს შეძინათ ვაჟიშვილი ზაქარია. 28 მარტს მონათლეს. მომრქმელი მედავითნე მალაქია ივანეს ძე ლომიძე (ჩანაწერი გაკეთებილია 1884 წლის 17 აპრილს რუსულ ენაზე, ხელს აწერს სინოდალური კანტორის წევრი არქიმანდრიტი (ხელრთვა არ იკითხება - თ. ლ.)

* * *

17 ოქტომბერს, სოფ. ულუმბოში მცხოვრებმა პავლე ივანეს ძე ხარაიშვილმა (16) იქორწინა შორაპნის მაზრის სოფ. ჩონთოში მცხოვრები იოსებ ტყემალაძის ასულ ქეთევანზე (19). სიძის თავმდებნი სოფ. ლომისაში მცხოვრები ნასყიდა გიორგის ძე სულაბერიძე, სოფ. ულუმბაში მცხოვრები გრიგოლ ოქრუას ძე ხარაიშვილი და შორაპნის მაზრის სოფ. ხვანში მცხოვრები გრიგოლ ფარსადანის ძე ხარაიშვილი. სასძლოს თავმდებნი შორაპნის მაზრის სოფ. ოტრიაში მცხოვრებნი გრიგოლ დავითის ძე სულაბერიძე, მარკოზ ლევანის ძე დარბაიძე და სილომონ გაბრიელის ძე შუბითიძე.

30 ოქტომბერს, შორაპნის მაზრის სოფ. ნადაბურში მცხოვრებმა ექვთიმე ივანეს ძე გელაშვილმა (18) იქორწინა ამავე მაზრის სოფ. მანდაეთში მცხოვრებ გლახა მუმლაძის ასულ აღათიაზე (17). სიძის თავმდებნი სოფ. ნადაბურში მცხოვრები დავით ივანეს ძე, გაბრიელ ბუჭუას ძე, სოლომონ დავითის ძე გელაშვილები. სასძლოს თავმდებნი სოფ. მანდაეთში მცხოვრებნი ნიკოლოზ ფირანის ძე, პავლე ეგნატეს ძე და დავით პავლეს ძე მულაძეები.

5 ნოემბერს, შორაპნის მაზრის სოფ. ჭალუანში მცხოვრებმა ზაქარია გრიგოლის ძე შუბითიძემ (18) იქორწინა სოფ. ულუმბაში მცხოვრებ დავით გაფრინდაშვილის ასულ მაიაზე (21). სიძის თავმდებნი სოფ. ჭალუანში მცხოვრები კაცია გურამის ძე ხარაიშვილი, სოფ. წმანში მცხოვრები ივანე ფირანის ძე ხარაიშვილი და სოფ. ლომისაში მცხოვრები ადამა ივანეს ძე გაფრინდაშვილი. სასძლოს თავმდებნი სოფ. ულუმბაში მცხოვრები პავლე ივანეს ძე ხარაიშვილი, სოფ. ლომისაში მცხოვრებნი ნიკოლოზ იოსების ძე სტეფნაძე და გარსევან გაბრიელის ძე სტეფნაძე.

* * *

ამ წელს გარდაცვლილები ნაჩვენები არ არის (თ.ლ)

1877

2 იანვარს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ აღდგომელა თევდორეს ძე მულაძეს და მარიამ ბერის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ანუსია. 10 იანვარს მონათლეს. მიმრქმელი ამავე სოფლში მცხოვრები ივანე ბასილის ძე მახარაშვილი.

10 იანვარს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ ქაქიჩა თედორეს ძე მულაძეს და ასინეთა იოსების ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი გიორგი. 18 იანვარს მონათლეს. მიმრქმელი ამავე სოფლის მცხოვრები შალვა დავითის ძე მუმლაძე.

15 აგვისტოს, სოფ. ლომისაში მცხოვრებ ადამა იოსების ძე გაფრინდაშვილს და მელანია სვიმონის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი გიორგი. 23 აგვისტოს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. კლდისწყაროში მცხოვრები ალექსი გიორგის ძე გონგლაძე.

17 აგვისტოს, სოფ. ნინისში მცხოვრებ დარისპან ივანეს ძე ტეფნაძეს და ანუსია პავლეს ასულს შეეძინათ ქალიშვილი ანუსია. 23 აგვისტოს მონათლეს. მიმრქმელი ამავე სოფელში მცხოვრები ფირანა პავლეს ძე ლომიძე.

18 აგვისტოს, სოფ. ულუმბოში მცხოვრებ ეგნატე ბასილას ძე გელაშვილს და პელაგია გიორგის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ლიდია. 23 აგვისტოს მონათლეს. მიმრქმელი ალში მცხოვრები აზნაურობის მაძიებელი მალაქია გიორგის ძე ლომიძე.

20 აგვისტოს, სოფ. ბრილოსანში მცხოვრებ ლევან ანდრიას ძე მუმლაძეს და როდამ სოფრომის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ილარიონი. 28 აგვისტოს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. შაქშაქეთში მცხოვრები თევდორე ნოზაძის მეუღლე ნინა იოსების ასული.

20 აგვისტოს, სოფ. ლომისაში მცხოვრებ ამბაკო ზურაბის ძე ფანჩვიძეს და ტურფა გრიგოლის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ფებრონია. 29 აგვისტოს მონათლეს. მიმრქმელი ალის სამრევლოს მღვდლის სფირიდონ მაჭაროვის ძე სარდიონი.

4 სექტემბერს, სოფ. ლომისაში მცხოვრებ ნიკოლოზ იოსების ძე სტეფნაძეს და სალომე გრიგორის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ქეთევანი. 12 სექტემბერს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. ჩორჩანაში მცხოვრები მერაბა თამაზის ძე მუმლაძე

3 ოქტომბერს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ საამო (?) ბუჭუას ძე მუმლაძეს და მარიამ ნიკოლოზის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ლავრენტი. 11 ოქტომბერს მონათლეს. მიმრქმელი შორაპნის მაზრის სოფ. ცხრუკვეთში მცხოვრები ერმინე გიორგის ძე ბიწაძე.

8 ოქტომბერს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ აღდგომელა სვიმონის ძე ბარბაქაძეს და თეკლა გრიგოლის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი სფირიდონი. 16 ოქტომბერსმონათლეს. მიმრქმელი სოფ. წაღვლში მცხოვრები პავლე კაპანაძის მეუღლე სიდონია ფარსადანის ასული.

15 ოქტომბერს, სოფ. ულუმბოში მცხოვრებ გიორგი ოქრუას ძე ხარაზიშვილს და ანა სოლომონის ასულს შეეძინათ ქალიშვილი მარიამი. 24 ოქტომბერს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. ალში მცხოვრები შიო ზაქარიას ძე ნოზაძე.

12 ნოემბერს, სოფ. ულუმბოში მცხოვრებ ასლან პეტრეს ძე გელაშვილს და ნატალია შიოს ასულს შეეძინათ ქალიშვილი სოფიო. 20 ნოემბერს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. ალში მცხოვრები გიორგი იოსების ძე მახარობლიძე.

2 დეკემბერს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ გრიგოლ ივანეს ძე ხარაიშვილს და ეფემია თევდორეს ასულს შეეძინათ ქალიშვილი ეკატერინე. 10 დეკემბერს მონათლეს. მიმრქმელი ამავე სოფელში მცხოვრები ფარსადან ივანეს ძე შუკაკიძე. 14 დეკემბერს სოფ. ულუმბოში მცხოვრებ პავლე ივანეს ძე ხარაიშვილს და ქეთევან იოსების ასულს შეეძინათ ქალიშვილი მარიამი. 22 დეკემბერს მონათლეს. მიმრქმელი ამავე სოფელში მცხოვრები ხარიტონ ვასილის ძე გელაშვილი.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

2023-2024 სასწავლო წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები სრულად მომხადებულები შეხვდნენ

2023-2024 სასწავლო წელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლაში 15 სექტემბერს პირისპირ სწავლების რეჟიმში დაიწყო. ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცნტრი და მის დაქვემდებარებაში არსებული სკოლები, ივნისის თვიდან შეუდგნენ ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის მოსამზადებელ სამუშაოებს. აღნიშნულისთვის, ყველა სკოლა უზრუნველყოფილია 637 პირველკლასელისთვის განკუთვნილი კომპიუტერებით, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია სასწავლო წიგნებითა და რვეულებით, 18 ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულა უზრუნველყოფილია მოსწავლეების ტრანსპორტით სკოლაში გადაადგილების მომსახურებით. მიმდინარე სასწავლო წელს, 8 საჯარო სკოლა გაივლის ავტორიზაციის პროცესს, აქედან 4 სკოლაში (ხაშურის N1, ხაშურის N9, ქინძათი, სატივე) განხორციელდა საავტორიზაციო ვიზიტი. თითქმის ყველა სკოლაში დასრულდა გამოცხადებულ ვაკანსიებზე კვალიფიციური, გამოცდილი კადრებით დაკომპლექტების პროცესი (დაახლოებით 16 ახალი კადრის დასაქმება). აღსანიშნავია, რომ ვაყის, ხაშურის N4, ნაბახტევის,წრომის, ოსიაურისა და ხაშურის N2 საჯარო სკოლებში მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები და აქედან გამომდინარე, სწავლა-სწავლების პროცესს ალტერნატიულ ფართებში ახორციელებენ. ალტერნატიულ ფართად კი მეზობელი საჯარო სკოლები გამოიყენება. აქტიურად მიმდინარეობს მესამე თაობის, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. ყველა მასწავლებელმა გაიარა სავალდებულო ტრენინგ-მოდული. 2023 წლის ღვაწლმოსილი დამსახურებული მასწავლებლის ჯილდოს რესურსცენტრი გადასცემს ააიპ საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა პანსიონის ბიოლოგიის მასწავლებელს მანანა აბაზაძეს. ზაფხულის პერიოდში, პროფესიული განვითარების გზით, 20-მდე მასწავლებელს შეეცვალა(აიმაღლეს) სტატუსი. ვულოცავ ყველა მოსწაველს და მასწავლებელს, სკოლებში დასაქმებულ პირებს, ახალი სასწავლო წლის დაწყებას, ვუსურვებ გრძელვადიანი მიზნებისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ ხარისხიან სვლას,. შრომის დაფასებას.

ზვიად გოგუაძე,

ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

სურათზე: ხაშურის მე-3 საჯარო სკოლის პირველკლასელები (პედაგოგი ლელა ხაჩიძე).

მ. სალაღაიას ფოტო

დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში გაიმართა ხათუნა ჩიტაძის შემოქმედებითი საღამო- ახალი წიგნის წარდგინება და ნახატების პერსონალური გამოფენა. მუზეუმი ერთი თვის განმავლობაში უმასპინძლებს გამოფენას!

„თუ ვისაუბრებთ ხათუნა ჩიტაძეზე, როგორც ქალზე, როგორც პიროვნებაზე, ამ კუთხითაც არის საინტერესო. როგორც ხუთი შვილის დედა, როგორც იმხელა გულის პატრონი, რომ შეუძლია დაიტიოს ყველა და ყველაფერი მის გარშემო, ვისაც და რასაც მისი თავის სჭირდება. მისი პოეზიის პირველი საღამო ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა. ეს იყო ყველაზე ლამაზი და მნიშვნელოვანი დღე ხათუნას ცხოვრებაში. არ დამავიწყდება ხათუნას ბედნიერი სახე. ამის შემდეგ, ხათუნამ მეტი დრო დაუთმო პოეზიას. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაწილია მისი შემოქმედების, მისი ნაქარგობები, თუნდაც მისი ხელით მოქარგული წიგნი, საოცრებაა, და ნებისმიერი ნამუშევარიც. რამხელა დრო მიაქვს ქარგვას, ხომ. ამ დროს არის ქალი ხუთი შვილის დედა, პედაგოგი. ეს ენერგია, ვფიქრობ, არის ერთეულთა ხვედრი, უფალმა დაამადლა მას ეს ენერგია და მიზანსწრაფულობა. რადაც არ უნდა დაუჯდეს, ხათუნა აღწევს მიზანს. ბრძოლის საოცარი უნარი გააჩნია. ეს ყველაფერი აყალიბებს მის პიროვნებას: მრავალწახნაგოვანი შემოქმედი, მრავალშვილიანი დედა და ბებია. მე მას ვუწოდებ ფიროსმანის ნახატს. და ის რომ საღამო გაიმართა ქვიშხეთში, ესეც სიმბოლურია. აქ იმართებოდა ტრადიციულად პოეზიის საღამოები, აქ იკითხებოდა პირველი ლექსები - აქ დამსვენებელი დიდი პოეტებისა. მე, როგორც ქვიშხეთელი, მოხარული ვარ რომ აქ ტარდება ასეთი საღამოები, გამოფენები. რითი გამოირჩევა ხათუნას პოეზია, როგორია მისი პოეზიის ენა? იცით, რა? როდესაც ხათუნას პოეზიის შეფასებაზე დავიწყებთ ფიქრს, გავლენას ახდენს სწორედ მისი მრავალწახნაგოვნება... ყოფითია, მისი ცხოვრებიდან, შვილებიდან, სამშობლოდან გამოდის, ჰარმონიაა სამყაროსთან და ვფიქრობ რომ ეს უკვე ყველაფერს ნიშნავს!“ - **კლარა გელაშვილი**, ხაშურის საბინბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი, პოეტი.

„ხათუნა ჩიტაძეს რამდენიმე წელია ვიცნობ და ვადევნებ თვალს მის შემოქმედებას. საინტერესო პიროვნებაა, ხატავს, წერს ლექსებს... მის ნახატებს რომ ვუყურებთ, შრომაა ჩადებული მათში და კულტურაა. თვალი აქვს ყველა ნახატს, სულიერება გააჩნია, ფიქრობს. საინტერეოა თვითონ შემოქმედის ბუნება. ეს არ არის მარტივად აღსაქმელი ნახატები. დღეს მისი ნახატების გამოფენაა და წიგნის პრეზენტაცია. ვულოცავ, ხათუნას, წიგნის გამოცემას. როგორ შევაფასებ მის პოეზიას? პოეზია, იცით, იმდენად ინდივიდუალურია, ის უნდა წაიკითხო, უნდა ჩაუღრმავდე. არსებობს ხმის, თვალის, სულიერი პოეზია. ხათუნა ისეთი პოეტია, რომ უფრო უნდა ჩაჯდე და წაიკითხო და კითხვისას, თითქოს, ყველაფერი სიმაღლისკენ ადის ხათუნას პოეზიაში, მერე აკორდია და მოგწონს მისი პოეზია. ხათუნა ჩემი მეგობარია და მე მას ლექსიც დავუწერე. „გაზაფხულს თავს მოიწონებ, / ფიქრს უმხელ წმინდა გრძნობებით,/ რა კარგად ქარგავ სტრიქონებს,/ ქალი, დედა და პოეტი./ ალუბლით თოვლი მოხატე,/ აპრილი ატმის რტოებით,/ ვარსკვლავებს შეეხმიანე,/ რჩეული განმარტოებით./ ეგ შენი სულის ფთილები,/ სუფთაა, როგორც ფანტელი/ ცოტაც და ასე მგონია/ სხივებად

გაიფანტები./“ - **შოთა დარბუაშვილი.** დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმის ექსკურსიამძღოლი, პოეტი.

„მინდა გითხრათ, რომ მე მაქვს ეს წიგნი წაკითხული, პრივილეგია მქონდა, წამეკითხა ხათუნას წიგნი სხვებზე ადრე, ახალი გამოსული იყო, ბოლომდე დაბეჭდილიც არ იყო. ხათუნამ მეგობრებს მოგვანიჭა ეს პრივილეგია, რომ ვიდრე დიდი მასშტაბით გამოვიდოდა, ჩვენ პირველებს წაგვეკითხა. დედას გეფიცებით, კითხვისას ცრემლიც ბევრი დავღვარე, ემოციებით, ძალიან კარგი ლექსები აქვს და თითქმის ბოლომდე გადავიკითხე. ძალიან მრავალმხრივი და მრავალფეროვანი პოეზიაა, პირად განცდებზე, ხათუნას შინაგან სამყაროზე... მას პატარა პრობლემები თუ ჰქონია, თვალწინ წარმომიდგა მისი განცდები. ლექსები დაწერილი აქვს მის სოფელზე, ზვარეზე, ძალიან კარგი ლექსებია... სამშობლოზე, შვილებზე, მამაზე... ჩემზე ძალიან იმოქმედა მისმა პოეზიამ. ძალიან გულში ჩამწვდომი ლექსებია... ლამაზი რითმებია...“ - **გიგა მაღრაძე**, კლასელი, მეგობარი.

„მოგესალმებით, მე ძალიან მინდოდა, რომ ჩემი ქალაქისთვის ლამაზი საღამო გამეკეთებინა პოეზიის კუთხით. შემდეგ მოვიფიქრე, რომ პოეზიასთან ერთად წარმომეჩინა ჩემი ნამუშევრები, ნახატები, ფერწერული ტილოები და კალმით ნახატები ორი სახის, რომლებიც განთავსდა სხვადასხვა დარბაზში, რომ ყოფილიყო ერთმანეთისაგან განსხვავებული. რაც შეეხება წიგნების ფერად ყდებს, რატომღაც მინდოდა, რომ თითოეული ასი წიგნი ყოფილიყო სხვადასხვა ფერის ყდით. ადამიანებს, ვისაც როგორი ფერი მოსწონთ, ის აერჩიათ და ამით გაეხალისებიათ თავისი შეხედულება. წიგნის გარეკანზე დატანილი ჩემი ნახატი, რომელიც სრულიად წარმოსახავს ამ წიგნში

(დასასრული მე-6 გვერდზე)

დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში გაიმართა ხათუნა ჩიტაძის შემოქმედებითი საღამო - ახალი წიგნის წარდგინება და ნახატების პერსონალური გამოფენა. მუზეუმი ერთი თვის განმავლობაში უმასპინძლებს გამოფენას!

(დასასრული)

არსებული ლექსების თავისებურებას და შინაარს და სათაურიც შეესაბამება კრებულში შესულ ლექსებს „მარტივად ძნელი მოსაქსოვი ღამეები“. ეს არის ლირიული ლექსები.

ლექსების წერა? ლექსებს დაახლოებით 5-6 წლიდან ვწერ, როდესაც ჯერ კიდევ წერა არ ვიცოდი. დედა იწერდა ხოლმე ჩემს ზეპირად თქმულ ლექსებს. ალბათ, ესეც მიჩვევაა და წლების გამოცდილება. რადგან შეიძლება არ ვბეჭდავდი და არ გამომქონდა დღის სინათლეზე, მაგრამ მთელი ცხოვრება ლექსებს ვწერ. ეს არის ჩემი ლექსების მეშვიდე კრებული. კიდევ მაქვს ერთი კრებული მზად. ახლო მომავალში შევთავაზებ კიდევ ჩემს მკითხველს ახალ წიგნს. რა არის ჩემი სათქმელი? ალბათ, ყველა პოეტი, მაინც, თავის თავს წარმოაჩენს ლექსებში. ალბათ ჩემი სათქმელი მინდოდა ხმამაღლა გამომეტანა და მეთქვა, რას ვგრძნობ, როგორ ვგრძნობ, რას განვიცდი და ეს ყოფილიყო ძალიან ხელშესახები და თვალხილული, თუნდაც მცირედ დამრიგებლური ტონითაც...“ - **ხათუნა ჩიტაძე**, წიგნის ავტორი.

„მთელი ცხოვრება, ხათუნა მე მაოცებს, დაბადებიდან დღევანდელ დღემდე. იყო ძალიან ცელქი, აუტანლად ცელქი, შემოვარდებოდა, უცბად რაღაცას ლექსად იტყოდა, რომ ვთხოვდი, გაჩერდი, გაიმეორე, ჩავიწერო, არ მაძლევდა ამის საშუალებას და ამიტომ ძალიან ბევრი ლექსი ასე დამეკარგა, ვერ ვასწრებდი ჩაწერას. იყო ძალიან აქტიური ბავშვი. კეთილი, თბილი, ასეთი იყო თავიდანვე და ასე გრძელდება და მინდა რომ ადამიანებისადმი სიკეთე, სიყვარული თავისი ცხოვრების მანძილზე გაგრძელდეს. როგორ შევაფასებდი მის პოეზიას როგორც დედა? მე ვაფასებ მის პოეზიას, იმიტომ რომ მთელი სული და გულია ჩადებული. თუნდაც ის პატარა, ლექსი რომ წაიკითხეს „ფერიცვალების დღე“, ზვარეში დაწერა, იქ ვიყავით, იქ შევხვდით ფერიცვალებას და აი, თვალსა და ხელს შუა დაწერა ლექსი. მადლობა უფალს, რომ ასეთია!“- **მანანა მარაბდელი**, ხათუნა ჩიტაძის დედა.

„ნიჭიერი შემოქმედია. თქვენ თვითონაც ხედავთ, რომ დარბაზი მისი შემოქმედებით არის სავსე, ყველა აღტაცებული ვართ, ყველას მოგვწონს და ეს , ბუნებრივია, არ არის ადვილი და ჩვეულებრივი უნარის მქონე ადამიანი ამას თავს ვერ გაართმევს. უდაოა, ნიჭიერებიდან მოდის ეს ყველაფერი. რაც შეეხება, მისი ლექსები არის ძალიან თბილი, ლირიზმით სავსე, უდიდესი ადამიანური სევდით, ადამიანური ცოდნით სავსე და ძნელია, რომ მასში შენი საკუთარი განცდებიც არ ამოიცნო ადამიანმა. აქედან გამომდინარე, მგონია გულგრილი ვერავინ დარჩება ამ ლექსების წაკითხვისას“ - **იამზე შავიძე,** ხათუნას ოჯახის წევრი, ფილოლოგი, პედაგოგი.

„ხათუნას ეს კრებული გამოვიდა თუ არა, მომეცა საშუალება, რომ პირადად ხათუნას გადმოეცა ჩემთვის და გავეცანი რამდენიმე დღით ადრე. წიგნის წაკითხვის დროს გამიჩნა შთაბეჭდილება, რომ წიგნში შესული ეს ლექსები, ერთი უდარდელი, უნაღვლო ადამიანის ცხოვრება არის გადმოცემული, მაგრამ იმ წუთში წამოვიდა ჩემს თვალწინ ასეთი სიცოცხლე ადამიანისა, რომელიც სულ მოქმედებაში, ქაოსში, რაღაცის ძიებაშია. პოეზიასთან მიმართებაში ეს ძალიან საახასიათოა, რაც ხათუნას შემოქმედებას საერთოდ გასდევს. მარტო პოეზია არა, მხატვრობაც. ნახატები როგორ სტილშია შესრულებული. რამდენიმე მიმართულება, თავისი სტილი აქვს განვითარებული ხათუნას. ადამიანები, ზოგადად, სამყაროს პრიზმის ერთი კუთხით აღიქვამენ ხოლმე და ხათუნა სამყაროს აღიქვამს სხვადასხვა პრიზმით. როგორც პოეტი, როგორც მხატვარი, როგორც პედაგოგი, როგორც შესანიშნავი დედა, შვილი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ყველაზე მთავარი, რაც ხათუნას ცხოვრებისთვის არის დამახასიათებელი. მარტო თვითონ კი არ უყურებს და აღიქვამს ამგვარად სამყაროს, სხვასაც გვაძლევს საშუალებას ასეთი აღვიქვათ სამყარო. ადამიანი, რომელსაც, შეუძლია უანგარო სიყვარული მთელი საზოგადოებისა და ადამიანი, რომელმაც იცის დროის ფასი. ასეთი არის ჩემი კოლეგა ხათუნა ჩიტაძე,“- **მამუკა ხაჩიძე,** მე-9 საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგი.



„ძალიან ლამაზი საღამო იყო და მადლობელი ვარ უფლის, რომ შესაძლებლობა მომეცა ამ საღამოს დავსწრებოდი. დიდი ხანია ვიცნობ ხათუნას, კოლეგები ვართ, კარგი ურთიერთობა გვაქვს. არის საოცარი ადამიანი, ძალიან ღირსეული, კარგი ოჯახის შვილი, თვითონაც კარგი ოჯახის დედა, კარგი მეუღლე და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. ტალანტების იგავი ვიცით სახარებიდან, როდესაც ღმერთი ტალანტებს აძლევს ადამიანებს. ღმერთმა მრავალმხრივი ტალანტით დააჯილდოვა ეს ადამიანი და როგორც ტალანტების იგავში არის, რომ ამრავლებენ ტალანტებს, ასე ამრავლებს ხათუნა ამ ტალანტებს. ამრავლებს იმით, რომ ასე გვიზიარებს თავის ხელოვნებას, შემოქმედებას. დიდ სიამოვნებას გვანიჭებს თავის მსმენელს, მისი შემოქმედების დამთვალიერებელს. თვითონ არის საოცრად მზესავით თბილი და თაფლივით ტკბილი ადამიანი. კარგი მეგობარი, პედაგოგი და ყოველმხრივ კარგი ადამიანი.“ - **ლიანა ახალკაცი**, პედაგოგი, ხათუნას მეგობარი.

თეა ახალკაცი

- მინიფეხბურთი -

სალოკომოტივო დეპოს გუნდი ჩემპიონი გახდა

საქართველოს რკინიგზელთა პროფკავშირი (თავმჯდომარე გელა გელაშვილი) რკინიგზაზე დასაქმებული მშრომელებისათვის მრავალ კულტურულ და სპორტულ - გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს ატარებს. ერთ - ერთი იყო მინიფეხბურთში რეგიონული ჩემპიონატის ჩატარება ხაშურის ორგანიზაციებს შორის. შეჯიბრება მეტად საინტერესოდ წარიმართა. მონაწილე გუნდებს თითქმის თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდათ, მაგრამ მაინც ყველას სალოკომოტივო დეპომ (თავმჯდომარე თ. თოფჩიშვილი) აჯობა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. მეორე საპრიზო ადგილი წილად ხვდა სავაგონო დეპოს (თავმჯდომარე გ. ხაჭაპურიძე), ელექტრომომარაგება (თავმჯდომარე პ. ქალიაშვილი) მესამე ადგილს დასჯერდა.

გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ თასები, დიპლომები, მედლები და ფულადი ჯილდოები, აგრეთვე ახალი სპორტული ფორმები და ბურთები.

სალოკომოტივო დეპოს გუნდი მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკურ შეჯიბრში, რომელიც ქობულეთში გაიმართება.

პირველკურსელთა საყურადღებოდ!

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამის ფარგლებში, გეგმავს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იმ სტუდენტების დაჯილდოებას, რომლებმაც 2023 წელს წარმატებით ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიიღეს 100%-იანი გრანტი (არ იგულისხმება უფასო ფაკულტეტები და ჩაბარების შემდგომ მოპოვებული შიდა გრანტი).

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

პირადობის მოწმობის ასლი;

სწავლის დამადასტურებელი ცნობა საჯარო ან კერძო სკოლიდან;

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა 100%იანი სახელმწიფო გრანტის მოპოვების შესახებ;

საბანკო რეკვიზიტები (არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში, მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მონაცემები).

დოკუმენტების მიიღება: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურში 14 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა).

საკონტაქტო პირი: ბესიკ გაჩეჩილაძე

საკონტაქტო ნომერი: 591057369; (0368) 24-24-56

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.